



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ქ ტ ი

№ 49/100

„ 2010 წლის 2010 წლის

ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ ვ ი ც ე ბ " თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარატამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი 6. ჩერქევი
ნინო ჩადუნელი

, „ 02 „ 06 2010 წელი

გვ. N2

ფინანსური გასვლითი აუდიტის აქტი
(2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი)
(01.01.2009-01.01.2010)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



სარჩევი

ნაწილი I. - შესავალი	3
შემოკლებანი	3
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	4
ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	5
ნაწილი III.- ძირითადი ტექსტი	7
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.....	7
1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება.....	7
1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.....	10
1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.....	19
1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყნების მდგომარეობა.....	19
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).....	21
ნაწილი IV.- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.....	25
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:.....	25



ნაწილი I. - შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასვლითი ფინანსური აუდიტი;

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის N2/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ქ.თბილისი, გ, გულუას ქ. № 8. ტელ: (+995 32) 411156;

აუდიტორები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოები: საქართველოს კონტროლის პალატის უფროსი აუდიტორები - თემურ ჩილინდრიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და გია ნადარეიშვილი, აუდიტორები ნესტან ჯანელიძე, თამარ ბეჟანიშვილი და მაია მუჯირიშვილი. აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად;

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე;

აუდიტის ვადა: 2010 წლის 25 თებერვალიდან და 2010 წლის 7 აპრილამდე;

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

აუდიტის მეთოდი – წარმოდგენილი ბალანსების, ინფორმაციის, ცნობებისა და დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი, გამოკითხვისა და გასაუბრების მეთოდი.

შემოკლებანი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - **სამინისტრო**
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**
3. საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ - **ბიუჯეტის კანონი**
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი - **საბიუჯეტო დეპარტამენტი**
5. შსს-ს დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია - **სასაზღვრო პოლიცია**
6. სამინისტროს ორგანოები ცენტრალური აპარატის ჩაუთვლელად - **სამინისტროს ორგანოები**



საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური, გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

სამინისტროს საქმიანობის სფეროა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა.

სამინისტროს საბალანსო ერთეულებია:

- უშუალოდ ცენტრალური აპარატი (რომელიც აფინანსებს უშუალოდ სამინისტროს ადმინისტრაციას, საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის, საინფორმაციო-ანალიტიკურ და სხვა რამდენიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს),
- კონტრდაზვერვის,
- კონსტიტუციური უსაფრთხოების,
- სპეციალური ოპერატიული,
- საპატრულო პოლიციის და
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტები.

სამინისტროს ექვემდებარება აგრეთვე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და 11 ტერიტორიული ორგანო, კერძოდ: აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის მთავარი სამმართველოები, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოები;

გარდა ამისა, სამინისტროს მმართველობაში მოქმედებს 5 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- დაცვის პოლიცია;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი და
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

2009 წლისათვის დამოუკიდებლად აღარ ფუნქციონირებდა 2008 წლის ჩათვლით, სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფელდიეგერო სამსახური, რომელიც შეუერთდა სსიპ-შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.



ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის №523 ბრძანებულების შესაბამისად მიმდინარეობდა სსიპ-სპეციალიზებული სამთო მაშველის ლიკვიდაციის ღონისძიებანი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

წლის მანძილზე სხვა სახის სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები სამინისტროში არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული 5 საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან ერთი, კერძოდ სსიპ-შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება.

ნაწილი II. - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სამინისტროს ბიუჯეტის კვარტალური განწერის ცვლილებების შესწავლით გამოვლინდა ბიუჯეტის არათანმიმდევრული დაგეგმვის მაგალითები. კერძოდ, შსს-ს დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას არაფინანსური აქტივების მუხლით დამტკიცებული ასიგნება 6600,0 ათასი ლარი მთლიანად მე-3 კვარტალში ჰქონდა დაგეგმილი, მაშინ როდესაც სასაზღვრო სექტორების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი გათვალისწინებული იყო გაზაფხულზე. ამის გამო პირველი და მეორე კვარტლების „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 2100,0 ათასი და 3500,0 ათასი ლარი გადატანილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში და ამ თანხით განხორციელებულია სასაზღვრო სექტორების მშენებლობა, კაპიტალური რემონტი, სენდვიჩ-პანელების ტიპის ჯიხურების შესყიდვა და დაფარულია სასაზღვრო კატარლის შემენასთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილი. მაშინ, როდესაც მესამე კვარტალში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი ასიგნება აუთვისებელი დარჩა და სექტემბერში 1000,0 ათასი ლარით შემცირდა.

ასევე, სამინისტრომ პირველ კვარტალში მოითხოვა IV კვარტლიდან საქონელი და მომსახურებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებში ასიგნებების გადმოტანა, შესაბამისად 4500,0 და 6000,0 ლარით. მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილება გარკვეულწილად განპირობებული იყო ზოგიერთი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულებით.....7

2. რიგ შემთხვევაში ასიგნებები გადანაწილებულია დაუსაბუთებლად. მაგალითად: სასაზღვრო პოლიციამ 2009 წლის 29 ოქტომბრის #38/4/2-1290 და 2 ნოემბრის #38/4/2-1-



1321 წერილებით მოითხოვა შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირება 1 300.0 ათასი ლარით (შესაბამისად 1 000.0 ათასი და 300.0 ათასი ლარით), მაშინ როდესაც სასაზღვრო პოლიციას 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშზე #3231 (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) ერიცხებოდა დავალიანება 1 139.0 ათასი ლარის ოდენობით.....8

3. 2009 წლის 11 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ მორის გაფორმდა ხელშეკრულება N228 სახელმწიფო შესყიდვაზე შსს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების სამუშაოებზე. გადახდილია სულ 500509 ლარი. შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება ფორმა 2-ის მიხედვით შეადგენს 470029 ლარს (და არა 500509 ლარს). ზედმეტად გადახდილია 30480 ლარი. აღნიშნული თანხა მომწოდებლის მხრიდან ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას.....23

4. ზოგიერთ შემთხვევებში წინასწარი გადახდების დროს ხაზინაში დამოწმების დოკუმენტები დაგვიანებით არის წარდგენილი. მაგალითად, შსს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატს საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული წინასწარი გადახდის დამოწმება (ვალდებულება N0528, მოთხოვნა N717, 102,6 ათასი ლარი, შპს „ელეგანტი“) განხორციელებული აქვს 2009 წლის 27 ოქტომბერს ნაცვლად 22 ოქტომბრისა. შპს „ასა ჯგუფზე“ წინასწარ გადახდილი თანხის (8,2 ათასი ლარი, ვალდებულება N0513, მოთხოვნა N710) დამოწმება განხორციელდა 2009 წლის 21 სექტემბერს ნაცვლად 15 სექტემბრისა.....19

5. სამინისტროს აპარატის ტრანსპორტის განყოფილებიდან მიღებულ მასალებზე დაყრდნობით მსუბუქი ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ხარჯების ანალიზით გაირკვა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ავტომანქანებზე ხარჯების გაწევას ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.....18




ნაწილი III. - ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება.

	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი	წლიური
დამტკიცებული გეგმით	152098.1	140877.1	144195.9	130828.9	568000
დაზუსტებული გეგმით	184611.9	134497.1	123734.2	130985	573828.2



წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილება განხორციელებულია როგორც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის (სულ 22635,9 ათასი ლარი), ასევე კვარტლებს შორის (სულ 53805,7 ათასი ლარი). რაზედაც წარმოდგენილია შესაბამისი წერილები და საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებათა გადანაწილება განხორციელებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მთლიანი წლიური ასიგნების 3,9%-ის ფარგლებში.

სამინისტროს ბიუჯეტის კვარტალური განწერის ცვლილებების შესწავლით გამოვლინდა ბიუჯეტის არათანმიმდევრული დაგეგმვის მაგალითები. კერძოდ, შსს-ს დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს



სასაზღვრო პოლიციას არაფინანსური აქტივების მუხლით დამტკიცებული ასიგნება 6600,0 ათასი ლარი მთლიანად მე-3 კვარტალში ჰქონდა დაგეგმილი, მაშინ როდესაც სასაზღვრო სექტორების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი გათვალისწინებული იყო გაზაფხულზე. ამის გამო პირველი და მეორე კვარტლების „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 2100,0 ათასი და 3500,0 ათასი ლარი გადატანილა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში და ამ თანხით განხორციელებულია სასაზღვრო სექტორების მშენებლობა, კაპიტალური რემონტი, სენდვიჩ-პანელების ტიპის ჯიხურების შესყიდვა და დაფარულია სასაზღვრო კატარლის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილი. მაშინ, როდესაც მესამე კვარტალში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი ასიგნება აუთვისებელი დარჩა და 2009 წლის 21 სექტემბრის N38/4/2/1-1097 წერილით მოითხოვა ამ მუხლის შემცირება 1000,0 ათასი ლარით.¹

სამინისტრომ პირველ კვარტალში მოითხოვა IV კვარტლიდან საქონელი და მომსახურებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებში ასიგნებების გადმოტანა, შესაბამისად 4 500,0 ათასი და 6 000,0 ათასი ლარით, შესაბამის კომპეტენტურ პირებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო ზოგიერთი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულებით.

ანალოგიურად, სასაზღვრო პოლიციამ 2009 წლის 29 ოქტომბრის N38/4/2-1290 (მიზეზი არ არის დაკონკრეტებული) და 2 ნოემბრის N38/4/2/1-1321 წერილებით მოითხოვა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის შემცირება 1300,0 ათასი ლარით (შესაბამისად 1000,0 ათასი და 300,0 ათასი ლარით), რაც განხორციელდა კიდევ² მაშინ, როდესაც სასაზღვრო პოლიციას 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშზე N3231 (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) ერიცხებოდა დავალიანება 1139,0 ათასი ლარის ოდენობით. სამინისტროში კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თემატური აუდიტის (ანალიზი) აქტში მითითებულია, რომ მიზანშეწონილია, ასიგნებებში წარმოშობილი ეკონომიკის შემთხვევაში, ეს სახსრები გამოყენებულ იქნას არსებული დავალიანებების დასაფარავად, რაც გათვალისწინებული არ არის.

რიგ შემთხვევებში სამინისტროს მიერ ასიგნებათა მუხლობრივი გადანაწილების მიზეზად „გადაუდებელი აუცილებლობაა“ მოტანილი და არ არის დაკონკრეტებული მიზეზები. მაგალითად: 2009 წლის 5 მარტის და 9 ივლისის N10/4/5/832 და N10/4/5-2637 წერილებით მოთხოვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ასიგნებებში „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში 1500,0 ათასი და 5000,0 ათასი ლარის გადატანა.³ ანალოგიური მაგალითი რამდენიმეა.

1 საფუძველი: 2009 წლის 25 სექტემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N520.

2 საფუძველი: ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2009 წლის 27 ოქტომბრის და 11 ნოემბრის N597 და N619 ცნობები.

3 საფუძველი: ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2009 წლის 11 მარტის და 2009 წლის 10 ივლისის ცნობები N72 და N340).



მიღებული განმარტებით აღნიშნული ცვლილებები განპირობებული იყო საიდუმლო ხელშეკრულებების პირობების ვადაზე ადრე შესრულებით.

წლიური საბიუჯეტო განონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებები ძირითადად შეეხო „საქონელი და მომსახურების“ (შემცირდა 12.3%-ით), „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ (გაიზარდა 29.3%-ით) და „სოციალური უზრუნველყოფის მუხლებს“ (გაიზარდა 30.6%-ით), რის შედეგადაც ამ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბოლოოდ სამინისტროს დაზუსტებული ბიუჯეტი მუხლობრივ ჭრილში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

დასახელება	საწყისი დამტკიცებული ბიუჯეტი	საბოლოო დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ზრდა/კლება
სოფ. გადასახდელები	568 000,0	573 814,4	573 828,2	+5 828,2
ხარჯები	473 723,3	479 464,0	451 897,8	-21825,5
შრომის ანაზღაურება	293 245,3	293 245,3	290 486,2	-2759,1
საქონელი და მომსახურება	157 417,8	163 156,8	138 040,4	-19377,4
სუბსიდიები	15 327,8	15 327,8	14 982,0	-345,8
გრანტები	100,0	100,0	93,3	-6,7
სოციალური უზრუნველყოფა	1 200,0	1 200,0	1 567,0	+367,0
სხვა ხარჯები	6 432,4	6 434,1	6 728,9	+296,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	94 276,7	94 350,4	121 889,5	+27612,8
ვალდებულებების კლება	-	-	40,9	+40,9

რეკომენდაცია

სამინისტრომ და მისმა საბალანსო ერთეულებმა:

- ბიუჯეტის კვარტალური განწერის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ გასაწევი ხარჯების ვადები, რათა არასწორი დაგეგმვის გამო ხელოვნურად არ წარმოიშვას ასიგნებათა კვარტალური გადანაწილების საჭიროება.

- საბიუჯეტო კლასიფიკირის მუხლებს შორის ასიგნებათა გადანაწილებაზე წარდგენილ მოთხოვნებში ყველა შემთხვევაში მოყვანილი იქნას საფუძვლიანი დასაბუთება.


- წლიურ ბიუჯეტში წარმოქმნილი ეკონომია გამოიყენონ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით არსებული დავალიანებების დასაფარავად, რათა ეტაპობრივად შემცირდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებები შრომის ანაზღაურების მუხლით.



1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

როგორც ზემოთ აღინიშნა სამინისტროს დაფინანსების გეგმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა (165436.6 ათასი ლარით), რაც ძირითადად უშუალოდ ცენტრალური აპარატის დაფინანსებას შეეხო (შემცირდა 156330 ათასი ლარით). შესაბამისად, 2009 წელს 2008 წელთან შედარებით ნაკლები საკასო ხარჯი იქნა გაწეული, რაც ცხრილისა და გრაფიკის სახით ასე გამოიყურება.

წელი	2008	2009
სულ	739264,8	573373,2
ცენტრალური აპარატი	343890,40	187560,00
შ.ს.ს ორგანოები (აპარატის გამოკლებით)	301399,00	305703,80
სასაზღვრო პოლიცია	79999,30	64481,30
ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	8705,50	9100,70
ს.ს.ი.პ შსს აკადემია	2872,60	4158,00
ს.ს.ი.პ ჯან. დაცვის სამსახური	2070,00	2095,70
ს.ს.ი.პ. სახელმწიფო მატ. რეზერვების დეპარტამენტი	307,70	273,10
ს.ს.ი.პ საფელდეგერო სამსახური	20.20	0.00



სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფების 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტების შესრულება შემდეგნაირად გამოიყურება:



სამინისტრო სულ:

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	573 828,2	573 373,2	490 225,3	-83147,9	455,0	100
ხარჯები	451 897,8	451 464,5	490 225,3	38 760,8	433,3	78,7
შრომის ანაზღაურება	290 486,2	290 454,6	290 466,7	12,1	31,6	50,7
საქონელი და მომსახურება	138 040,4	137 644,6	122 257,0	-15 387,6	395,8	24
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	–	–	45 715,1	45 715,1	–	
სუბსიდიები	14 982,0	14 976,2	15 012,8	36,6	5,8	2,6
გრანტები	93,3	93,3	6 003,9	5 910,6	–	0,02
სოციალური უზრუნველყოფა	1 567,0	1 567,0	1 567,0	–	–	0,3
სხვა ხარჯები	6 728,9	6 728,8	9 202,8	2 474,0	0,1	1,2
არაფინანსური აქტივების ზრდა ვალდებულებების კლება	121 889,5	121 867,8	–	-121 867,8	21,7	21,3
	40,9	40,9	–	-40,9	–	0,01

ცენტრალური აპარატი

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	187560.4	187560.4	69719.4	-117841.9	-	100
ხარჯები	100013.9	100013.9	69719.4	-30294.5	-	53.3
შრომის ანაზღაურება	18960.2	18960.2	18974.4	14.2	–	10.1
საქონელი და მომსახურება	75352	75352	36890.6	-38461.4	–	40.2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	–	–	2802.9	2802.9	–	–
სუბსიდიები	–	–	–	–	–	–



გრანტები	93.3	93.3	3131.4	3038.1	-	0.05
სოციალური	319.5	319.5	319.5	-	-	0.2
უზრუნველყოფა						
სხვა ხარჯები	5289	5289	7600.6	2311.6	-	2.8
არაფინანსური					-	
აქტივების ზრდა	87527.4	87527.4	-	-87527.4		46.7
ვალდებულებების კლება	19.1	19.1	-	19.1	-	0.01

სამინისტროს ორგანოები ცენტრალური აპარატის ჩაუთვლებლად, სულ
(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	306150.3	305703.8	342799.3	37095.5	446,5	100
<u>ხარჯები</u>	<u>283591.5</u>	<u>283166.7</u>	<u>342799.3</u>	<u>59632,6</u>	<u>424,8</u>	<u>92,6</u>
შრომის ანაზღაურება	234133	234101.4	234103.8	2,4	31,6	76,6
საქონელი და მომსახურება	47983.7	47590.5	72457	24866,5	393,2	15,6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	34030.3	34030.3		
გრანტები	-	-	619.9	619.9		
სოციალური						
უზრუნველყოფა	872.5	872.5	872.7	0,2	-	0,3
სხვა ხარჯები	602.5	602.4	715.8	113,4	0,1	0,2
არაფინანსური						
აქტივების ზრდა	22558.7	22537.1	-		21,6	7,4

მათ შორის:

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	77 235,9	76 892,5	94 517,8	17 625,3	343,4	100
ხარჯები	75 140,8	74 819,0	94 517,8	19 698,8	321,8	97,3



დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ვი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	2 095,1	2 073,5	–	-2 073,5	21,6	2.7
აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამსართველო						
სულ გადასახდელები	1 190,9	1 175,8	1 436,7	260,9	15,1	100
ხარჯები	1 190,9	1 175,8	1 436,7	260,9	15,1	100
შსს სპეციალური ოპერატორი დეპარტამენტი						
სულ გადასახდელები	15 498,8	15 494,4	17 693,0	2 198,6	4,4	100
ხარჯები	15 104,8	15 100,4	17 693,0	2 592,6	4,4	97,5
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	394,0	394,0	–	-394,0	–	2.5
შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი						
სულ გადასახდელები	13 468,6	13 468,3	15 421,0	1 952,7	0,3	100
ხარჯები	12 943,4	12 943,1	15 421,0	2 477,9	0,3	96,1
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	525,2	525,2	–	-525,2	–	3.9
შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი						
სულ გადასახდელები	24 971,2	24 906,7	31 894,8	6 988,1	64,5	100
ხარჯები	24 501,0	24 436,5	31 894,8	7 458,3	64,5	98,1
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	470,2	470,2	–	-470,2	–	1.9
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი						
სულ გადასახდელები	65 580,4	65 580,4	68 404,5	2 824,1	–	100
ხარჯები	59 121,0	59 121,0	68 404,5	9 283,4	–	90,1
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	6 459,4	6 459,4	–	-6 459,4	–	9.9
იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამსართველო						
სულ გადასახდელები	14 293,4	14 286,3	13 684,4	-601,9	7,1	100
ხარჯები	12 037,9	12 030,8	13 684,4	1 653,6	7,1	84,2
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	2 255,5	2 255,5	–	-2 255,5	–	15.8
კახეთის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამსართველო						
სულ გადასახდელები	6 190,0	6 188,4	6 925,0	736,6	1,6	100
ხარჯები	6 107,3	6 105,7	6 925,0	819,3	1,6	98,6
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	82,6	82,6	–	-82,6	–	1.4
ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამსართველო						
სულ გადასახდელები	10 022,8	10 022,8	9 775,7	-247,1	–	100
ხარჯები	8 259,5	8 259,5	9 775,7	1 516,2	–	82,4
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	1 763,3	1 763,3	–	-1 763,3	–	17.6
შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამსართველო						
სულ გადასახდელები	12 043,1	12 035,3	11 403,0	-632,3	7,8	100
ხარჯები	9 301,5	9 293,7	11 403,0	2 109,3	7,8	77,2



დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივ ვი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
არაფინანსური აქტივების						22.8
ზრდა	2 741,6	2 741,6	–	-2 741,6	–	
სამეცნიერო-ზემო სენატის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	8 777,3	8 777,3	10 248,4	1471,1	–	100
ხარჯები	8 607,8	8 607,8	10 248,4	1 640,6	–	98.0
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	169,5	169,5	–	-169,5	–	2.0
სამცხე-ჯავახეთის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	4 095,9	4 095,9	4 860,9	765,0	–	100
ხარჯები	3 972,1	3 972,1	4 860,9	888,8	–	97.0
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	123,8	123,8	–	-123,8	–	
მცხეთა-მთიანეთის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	3 671,5	3 671,5	4 503,5	832,0	–	100
ხარჯები	3 654,6	3 654,6	4 503,5	848,9	–	99.5
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	16,9	16,9	–	-16,9	–	0.5
გურიის შინაგან საქმეთა სამსარეო მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	5 311,3	5 311,3	3 783,7	-1527,6	–	100
ხარჯები	3 133,7	3 133,7	3 783,7	650,0	–	59.0
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	2 177,6	2 177,6	–	-2 177,6	–	41.0
აჭარის ა/რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	9 529,5	9 529,5	10 768,0	1238,5	–	100
ხარჯები	9 418,1	9 418,1	10 768,0	1 349,9	–	98.8
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	111,4	111,4	–	-111,4	–	1.2
შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო						
სულ გადასახდელები	34 269,7	34 267,3	37 478,9	3 211,6	2,4	100
ხარჯები	31 097,2	31 094,8	37 478,9	6 384,1	2,4	90.7
არაფინანსური აქტივების						
ზრდა	3 172,5	3 172,5	–	-3 172,5	–	9.3

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
(ათასი ლარი)



დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივი ხარჯისა და გადახდას შორის	სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის	ხედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	64481,4	64481,4	59601,3	-4880,1	-	100
ხარჯები	53281,4	53281,3	59601,3	6320	0,1	82,6
შრომის ანაზღაურება	37393	37393	37388,5	-4,5	-	58
საქონელი და მომსახურება	14676	14676	12851,6	-1824,4	-	22,8
ძირითადი						
კაპიტალის	-	-	8099,7	8099,7	-	-
მოხმარება	-	-	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-	-	-
გრანტები						
სოციალური	375	375	375	-	-	0,6
უზრუნველყოფა	837,4	837,4	886,5	49,1	-	1,3
სხვა ხარჯები						
არაფინანსური აქტივების ზრდა	11200	11200	-	-11200	-	17,4

საჯარო სამართლის იურიდიული პირები

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა 2009წ.	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	სხვაობა დაზუს. და გადახდას შორის	ხედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
1	2	3	4	5	6	7
შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი						
სულ	273,3	273,3	300,0	26,7	-	100
საქონელიდა მომსახურება	-	-	15,8	15,8	-	-
ძირით.	-	-	15,4	15,4	-	-
კაპიტალის მოხმ.						
სუბსიდიები	263,3	263,3	268,8	-	-	96,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	10	10	-	10,0	-	3,7
სსიპ შსს აკადემია						
სულ	4 160,5	4 157,9	4 006,1	-151,8	2,6	100
საქონელი და მომსახურება	28,9	26,3	33,3	7,0	2,6	0,7
ძირით.	-	-	260,6	260,6	-	-
კაპიტალის მოხმ.						
სუბსიდიები	3 704,8	3 704,8	3 712,2	7,4	-	89,1
არაფინანსური აქტივების ზრდა	405,0	405,0	-	-405,0	-	9,7



ვალდებულებები	21,8	21,8	-	-21,8	-	0,5
ის კლება						
სსიპ-დაცვის მოლიციის დაპარტამენტი						
სულ	9 106,6	9 100,7	9 362,0	261,3	5,9	100
ძირით.	-	-	346,4	346,4	-	-
კაპიტალის მოხმ.	-	-				
სუბსიდიები	8 956,6	8 950,8	9 015,6	64,8	5,8	98,3
არაფინანსური						
აქტივების ზრდა	150,0	149,9	-	-149,9	0,1	1,7
სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური						
სულ	2 095,7	2 095,7	2 083,4	-12,3	-	100
ძირით.	-	-	67,2	67,2	-	-
კაპიტალის მოხმ.	-	-				
სუბსიდიები	2 057,3	2 057,3	2 016,2	-41,1	-	98,2
არაფინანსური						
აქტივების ზრდა	38,4	38,4	-	-38,4	-	1,8
სსიპ-საქართველოს მომსახურების სააგენტო						
სულ	-	-	2 353,7	2 353,7	-	-
საქონელი და	-	-	8,8	8,8	-	-
მომსახურება	-	-				
ძირით.	-	-	92,3	92,3	-	-
კაპიტალის მოხმ.	-	-				
გრანტები	-	-	2 252,6	2 252,6	-	-
არაფინანსური						
აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების და მმართველობის სფეროში შემავალი ერთეულების მიხედვით ბიუჯეტის საკასო და ფაქტობრივი შესრულება დიაგრამის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

საკასო ხარჯი:

ფაქტობრივი ხარჯი:

მუხლების მიხედვით საკასო ხარჯი:



საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების კანონიერების შემოწმებით დადგინდა შემდეგი:



შრომის ანაზღაურება

სამინისტროს მიერ გაწეულ მთლიან საკასო ხარჯში ყველაზე მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ამ მუხლზე მოდის (290454,6 ათასი ლარი 50.7%), საიდანაც 26232.5 ათასი ლარი (9.3%) პრემიის სახითაა გახარჯული.

ამ მუხლში ფაქტობრივი ხარჯის მეტობა საკასო ხარჯზე (12,1 ათასი ლარით) გამოწვეულია სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ისეთი თანხების ჩამოჭრით, რომლებიც არ იყო აღიარებული კრედიტორულ დავალიანებად. სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე წლის განმავლობაში სულ დაფარულია 469,7 ათასი ლარის დავალიანება (მათ შორის სახელფასო).

სამინისტროს ცენტრალური აპარატის - მიერ 2009 წელს გაწეული 187560.4 ათასი ლარის საკასო ხარჯის 10,1%, ანუ 18960.2 - ათასი ლარი ამ მუხლზე მოდის. აქედან, თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 14530.2 ათასი ლარი (76.6%), პრემია შეადგენს - 2306.9 ათას ლარს (12.2%), ხოლო 2123.1 ათასი ლარი (11.2 %) გახარჯულია წოდებრივი სარგოს (372,6 ათასი ლარი), დანამატისა (1725,0 ათასი ლარი) და კომპენსაციის (25,5 ათასი ლარი) გასაცემად.

უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთი (მინისტრის) შეადგენს 3540 ლარს. უმცირესი ხელფასი (დამლაგებლის) შეადგენს 310 ლარს. ერთ პიროვნებაზე წლის განმავლობაში დარიცხული პრემიის ჯამური მაქსიმალური ოდენობაა 63.8 ათასი ლარი. ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 10,7 ათასი ლარი.

სამინისტროს ნაერთი ბალანსის დანართის (ფორმა 2) მონაცემებით 2009 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი შტატით მომუშავეთა რიცხოვნობის საშუალო გეგმური ოდენობა იყო 28037 ერთეული, ფაქტობრივად მუშაობდა 26421 თანამშრომელი, ანუ 1616-ით ნაკლები (5,8%).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამინისტროს საბალანსო ერთეულების ნაწილი არასათანადო ყურადღებას უთმობს დანართის ამ ნაწილის შევსებას (ან საერთოდ არ ავსებენ, ან დაუსაბუთებელ რიცხვებს წერენ), რის გამოც შტატგარეშე თანამშრომელთა ფაქტობრივ რიცხოვნობად მითითებულია 494, გეგმურ რიცხოვნობად კი 80, რაც არარეალურია.

შრომის ანაზღაურების სახით სამინისტროს შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია 2480,8 ათასი ლარი (ინსტრუქციის შესაბამისად გატარებულია საქონელი და მომსახურების მუხლით), საიდანაც 1053.1 ათასი ლარი (42,5%) აპარატის მიერ გაწეული ხარჯია.

2009 წლის ბიუჯეტის კანონით შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების დაფინანსება ერთი ორგანიზაციული კოდით (30 01) არის გათვალისწინებული და მოიცავს, როგორც უშუალოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ისე კონტრდაზვერვის, კონსტიტუციური უსაფრთხოების, სპეციალური ოპერატიული,



განსაკუთრებულ დავალებათა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებისა და სამინისტროს 11 ტერიტორიული ორგანოს დაფინანსებას. აღნიშნული ორგანოების მიერ ჯამში გაწეული 305703.8 ათასი ლარის საკასო ხარჯის უდიდესი ნაწილი, კერძოდ 76,6%, ანუ 234101.4 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების მუხლზე მოდის. აქედან, პრემია შეადგენს მხოლოდ 20761,2 ათას ლარს (8.9 %). ცალკეული ორგანოს მიერ გაცემული პრემიის ხვედრითი წილი მათ მიერვე შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯის 3.9%-დან 10.3%-მდე მერყეობს.

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გაწეული 64481,4 ათასი ლარის საკასო ხარჯიდანაც ნახევარზე მეტი, კერძოდ 58%, ანუ 53281,3 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების მუხლზე მოდის. აქედან, პრემია შეადგენს მხოლოდ 3164,4 ათას ლარს (5.9 %).

საქონელი და მომსახურების მუხლში ადგილი აქვს ფაქტობრივი ხარჯის ნაკლებობას გადახდაზე 15387,6 ათასი ლარით. რაც გამოწვეულია მატერიალური მარაგების შეძენით და შემდგომ დასაწყობებით, აგრეთვე წინასწარი გადახდებით. ზემოაღნიშნული სხვაობა ცალკე სამინისტროს აპარატში შეადგენს 38461,4 ათას ლარს, რაც დამატებით გამოწვეულია საწვავისა და სათადარიგო ნაწილების ცენტრალიზებული შეძენით და შემდგომ სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემით.

ამ მუხლით სამინისტროში გაწეულია მთლიანი საკასო ხარჯის (137644.6 ათასი ლარი) 24%. აქედან, ნახევარზე მეტი (54.7%), კერძოდ, 75352 ათასი ლარი უშუალოდ სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე მოდის. მათ შორის, სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ქვემუხლით - 9635.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მთლიანად აპარატის მიერაა გაწეული.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების ქვემუხლით, გაწეულია ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ხარჯები. სამინისტროს აპარატის ტრანსპორტის განყოფილებიდან მიღებულ მასალებით გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ავტომანქანებზე ხარჯების გაწევას ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატებოდა მათ ნარჩენ საბალანსო ღირებულებას. მაგალითად, წლის განმავლობაში ავტომანქანაზე BMW (სახ.ნომერი ABH-817, გამოშვების წელი 1997, საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში 10,3 ათასი ლარი) გაწეულია 13,1 ათასი ლარის ხარჯი. ავტომანქანაზე მერსედესი (JVJ-826, 1992წ. 5,9 ათასი ლარი) გაწეულია 6,3 ათასი ლარის ხარჯი. ავტომანქანაზე BMW (AAJ-665, 1992წ. 6,1 ათასი ლარი) გაწეულია 8,1 ათასი ლარის ხარჯი. ავტომანქანაზე მერსედესი (LAS-763, 1995წ. 8,9 ათასი ლარი) გაწეულია 9,7 ათასი ლარის ხარჯი

კონტროლის პალატის მიერ სამინისტროში ჩატარებული 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თემატური აუდიტის (ანალიზი) აქტში დაფიქსირებული იყო წლის პირველ ნახევარში წინასწარი გადახდების შემთხვევებში ხაზინაში დამოწმების დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენის შემთხვევები.



ანალოგიური ფაქტები დაფიქსირდა წლის მეორე ნახევარშიც. მაგალითად, შსს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატს საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული წინასწარი გადახდის დამოწმება (ვალდებულება N0528, მოთხოვნა N717, 102,6 ათასი ლარი, შპს „ელეგანტი“) განხორციელებული აქვს 2009 წლის 27 ოქტომბერს ნაცვლად 22 ოქტომბრისა. შპს „ასა ჯგუფზე“ წინასწარ გადახდილი თანხის (8,2 ათასი ლარი, ვალდებულება N0513, მოთხოვნა N710) დამოწმება განხორციელდა 2009 წლის 21 სექტემბერს ნაცვლად 15 სექტემბრისა.4

რეკომენდაცია

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ხარჯების ეკონომიკურ ანალიზს და მის ეფექტიანობას.
- სამინისტროს საბალანსო ერთეულებმა მაქსიმალურად დაიცვან ხაზინაში დამოწმების დოკუმენტების წარდგენის მითითებული ვადები, რათა თავიდან აიცილონ დაფინანსების შეწყვეტის საშიშროება.

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.

2009 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან თანხა გამოეყო მხოლოდ ერთხელ. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის N76 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გასაცემად სამინისტროს გამოეყო 13,8 ათასი ლარი. გაწეულია ამავე ოდენობის საკასო და ფაქტობრივი ხარჯი.

სხვა სარეზერვო ფონდებიდან სამინისტროს თანხები არ გამოყოფია.

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა.

⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ხაზინის მოსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მაღითაც - წინასწარი გადახდის დამოწმება ხორციელდება საგადახდო მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადაში საგადახდო მოთხოვნით განსაზღვრულ თანხაზე.



წლის მანძილზე სამინისტროს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 1721.3 ათასი ლარი. ამასთანავე სასაქონლო გრანტის სახით მიღებული აქვს 1783.5 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მატერიალური ფასეულობები.

ფულადი გრანტი

(ათასი ლარი)

ინფორმაცია გრანტის მიმღები სტრუქტურული ერთეულებისა და დონორების შესახებ წარმოდგენილია დანართის სახით.

მიმღების დასახელება	დონორი	დანიშნულება	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღება	გაწეული საკასო ხარჯი	ნაშთი წლის ბოლოს
განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	„ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენის კომპანია“	ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენის პროექტისათვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსება	319.4	1694,0	1670.1	343.3
ს.ს.ი.პ შსს აკადემია	ა.შ.შ სახ. დეპარტ.	სწავლებები	1.5	27.3	26.3	2.5

სასაქონლო გრანტები და უსასყიდლოდ მიღებული აქტი

(ათასი ლარი)

მიმღების დასახელება	დონორი	საქონლის დასახელება	ღირებულება
გ.დ.დ	ა.შ.შ სახ. დეპარტ.	მანქანა-დანადგარები	43.9
	კომპანია „B P“	მანქანა-დანადგარები	152.3
	ლიტვის რესპუბლიკა	მცირეფასიანი ინვენტარი	3.4
	ადგილ. სამეწარმეო ი.პ. - ზისაგან	კვების პროდუქტები და ინვენტარი	48.1
ს.ს.ი.პ შსს აკადემია	ეუთო; ა.შ.შ/საფრანგეთის საელჩობი; მიგრაციის საერთ. ცენტრი	კომპიუტერული ტექნიკა; სპორტული და საოფისე ინვენტარი; წიგნები	292.8
შსს სასაზღვრო პოლიცია	თურქეთის რესპუბლიკა	სხვადასხვა ტექ. საშუალებები და ინვენტარი	942.6
	ა.შ.შ	ტექნიკური საშუალებები (საზღვრის დაცვის და კანონის განმტკიცების დახმარების პროგრამის ფარგლებში)	542.0
	ა.შ.შ	ტექნიკური საშუალებები (ექსპორტის კონტროლის და მასთან დაკავშირებული საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში)	269.8
	საქართველოში „L-3 Titan“-ის წარმომადგენლობა	12 ცალი ელექტრო მკვებავი მოწყობილობა	29.1



ცენტრალური აპარატი	თურქეთი; ისრაელი და ადგ- სამეწარმეო ო.პ-ბი	ინვენტარი და სათადარიგო ნაწილები	42.0
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	ა.შ.შ საელჩო	ტექნიკა და მცირეფასიანი ინვენტარი	1,100.7
სამეცნიერო ზ/სვანეთის სამსარეო შს მთ.სამართველო	ა.შ.შ საელჩო	კომპიუტერული ტექნიკა	33.2

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულებს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით ფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისთვის ასიგნება გამოყოფილი არ ჰქონდა.

დებიტორულ დავალიანებათა ანალიზით დადგინდა, რომ სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით 2009 წლის 1 იანვრისთვის მთლიანმა დებიტორულმა დავალიანებამ 268306,2 ათასი ლარი, ხოლო 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 67933,9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 74.7%-ით (200372.3 ათასი ლარით) შემცირდა. მათ შორის:

- ანგარიშზე N1410 (მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) წლის დასაწყისში ერიცხებოდა დავალიანება 242315,8 ათასი ლარის, წლის ბოლოს კი - 41533,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე (2009 წელს წარმოშობილ) და გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე გასულ წელს წინასწარი გადახდებით წარმოშობილ დავალიანებებს, თუმცა არსებობს 1997-2004 წლებში წარმოშობილი დავალიანებებიც, რომელთა რეალობის დადგენისა და კონტროლის პალატის წინა შემოწმებებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შემინიჭებული შემისტობის 27 ივლისის N950 ბრძანებით შექმნილია დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა შემსწავლელი კომისია, რომელსაც მუშაობა დამთავრებული არ აქვს. დავალიანებების მნიშვნელოვანი კლება (200782,5 ათასი ლარით) გამოწვეულია სამინისტროს აპარატის მიერ გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარი გადახდებით წარმოშობილი დავალიანების დაფარვით.

- ანგარიშზე N1422 (მოთხოვნები დანაკლისებით) წლის დასაწყისში ნაშთად ირიცხებოდა 12698,0 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 13339,1 ათასი ლარი, აქედან, მირითადი ნაწილი წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაკარგული და განადგურებული ქონების ღირებულებას. შემინიჭებულია აღნიშნულ საკითხთა შემსწავლელი კომისია. დანაკლისების ზრდა (641,1 ათასი ლარით) გამოწვეულია ინვენტარიზაციების შედეგად დანაკლისების ოდენობის დაზუსტებით.



ნაერთი ბალანსის მიხედვით კრედიტორული დავალიანებების ჯამში 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 31886,8 ათასი ლარი, ხოლო 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 28070,8 ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანებების ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ N3222 ანგარიშზე (ვალდებულება გადასახდელი საშემოსავლო გადასახადით), რაც გამოწვეულია ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის მიერ 113,8 ათასი ლარით დავალიანების კორექტირებით. აღნიშნულ ანგარიშზე დიდი ოდენობით დავალიანების წარმოშობის მიზეზი არსებული სახელფასო დავალიანებაა.

ნაერთი მონაცემების მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს არაფინანსური აქტივების მოძრაობა ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენობა-ნაგებობები	სატრანს. საშუალებები	სხვა მანქ/დანად.	სხვა ძირითადი აქტივები	დაუმთ. შენებლობა	სხვა დანარჩენი აქტივები	მატერიალ. მარაგები	არაწარ. აქტივები (მიწა)	სულ
ნაშთი 01.01.09წ.	110,230.5	163,888.0	62,504.7	324.3	65,088.5	45,966.6	65,881.4	16,171.5	530,055.5
სულ მიღება	141,463.	37,998.7	18,167.9	768.1	44,442.1	42,595.0	163,192.2	11,600.3	458,470.6
მათ შორის:									
შესყიდვა	20,504.1	172,385.5	11,854.2	646.2	42,345.5	40,070.0	120,465.7	-	253,124.2
იმავე დონის სახ. ერთეულიდან უსასყიდლოდ	13,373.9	15,549.3	549.4	32.5	-	-	27,702.8	8,197.5	65,697.6
გრანტებით	447.0	1,869.3	2,638.6	1.0	-	-	498.9	3382.7	5,892.5
ნებაყოფლობითი ტრანსფერებით	-	-	270.2	-	-	5.7	16.8	-	292.7
სხვა ეპ-ნაკადებით	104,905.8	1,333.7	(19.0)	794.7	-	2,291.9	6,194.0	20.0	115,701.3
საკუთარი სახსრებით	2,233.0	2,007.9	2,874.5	8.9	2,096.	227.4	8,314.0	-	17,762.3
სულ გასვლა	13,804.7	120,589.0	15,113.9	101.7	102,922.4	34,062.4	87,255.8	2,510.2	376,360.1
მათ შორის:									
გაყიდვა	60.2	1,409.5	-	-	-	-	37.8	-	1,507.5
იმავე დონის სახ. ერთეულზე უსასყიდლოდ	1,372.8	83,988.4	91.0	-	-	31,943.6	4,286.1	255.2	121,937.1
გრანტებით	2,766.7	336.2	138.5	-	-	-	416.4	2,252.6	5,910.4
სხვა ხარჯებით	0.9	-	0.2	-	-	-	-	-	1.1
სხვა ეპ. ნაკადები	5,131.1	3,441.9	2,117.3	35.5	102,922.4	1,308.5	1,801.2	2.4	116,760.3
ძირ.კაპ-ის მოხმარება	4,473.0	31,413.0	12,766.9	66.2	-	810.3	-	-	49,529.4
საქ. და მომსახურების გამოყენება	-	-	-	-	-	-	80,714.3	-	80,714.3
ნაშთი 01.01.2010წ.	237,889.5	236,444.7	65,558.6	990.7	6,608.3	54,499.2	141,817.7	25,261.6	769,070.3



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადახდების შერჩევითი შემოწმებით დადგინდა, რომ 2009 წლის 11 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N228 სახელმწიფო შესყიდვაზე შსს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების სამუშაოებზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 500,5 ათასი ლარი. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდა ორ ეტაპად (333,5 ათას ლარზე და 167,0 ათას ლარზე). შესაბამისად გადახდილია სულ 500509 ლარი. მეორე ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის (2009 წლის 30 ივნისი) დანართი ფორმა N2-ის (შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი) მიხედვით მე-3 პუნქტში (გაფხვიერებული მიწის ნაზავის შეტანა) მასალის ჯამურ ღირებულებად მითითებულია 37680 ლარი. მაშინ როდესაც მასალის რაოდენობად მითითებულია 120მ³, ხოლო ერთეულის ფასი 60 ლარი (რაც პირველი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტის მონაცემებთან ერთად ჯამურად შეესაბამება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას). შესაბამისად მასალის მთლიანი ღირებულება უნდა იყოს 7200 ლარი და არა 37680 ლარი. შედეგად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 470029 ლარს (და არა 500509 ლარს). ზედმეტად გადახდილია 30480 ლარი. აღნიშნული თანხა მომწოდებლის მხრიდან ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

სამინისტროს კაპიტალის ცვლილება 2009 წლის განმავლობაში ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

(ათასი ლარი)			
ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - წმინდა ღირებულება		შენიშვნა	746,375.7
ზრდა			
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1	573,373.2	
შემოსავლები:			
მათ შორის:			10,130.0
გრანტები	1	8,862.6	
სხვა შემოსავლები	1	1,267.3	
აქტივების უსასყიდლოდ მიღება		65,405.5	
მათ შორის:			
მირითადი აქტივები	2		29,505.2
მატერიალური მარაგები	2	27,702.8	
არაწარმოებული აქტივები	2		8,197.5
სხვა კონომიკური ნაკადები	3		9,888.5
სულ ზრდა:		658,797.2	
შემცირება			
სარჯები	1	490,225.3	
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა		121,937.3	
მათ შორის:			
მირითადი აქტივები	2	117,395.9	



მატერიალური მარაგები	2	4,286.2
არაწარმოებული აქტივები	2	255.2
სხვა კონომიკური ნაკადები	3	13,506.5
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	4	670.5
სულ შემცირება:		626,339.6
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		32,457.6
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება		778,833.4
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - გაუნაწილებელი მოგება	34,696.1	
ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - დაუფარავი ზარალი	-208.4	
სულ კაპიტალი		813,321.2

შენიშვნა 1:

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება და გაწეული ფაქტობრივი ხარჯები განხილულია აუდიტის აქტის პირველ (1.2.) საკითხში. შემოსავლები შედგება გრანტებისგან (სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისგან მიღებული აქტივები, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული ფულადი და სასაქონლო ფორმის გრანტები) და სხვა შემოსავლებისგან (სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე სააღსრულებო ფონდიდან ჩამოჭრილი თანხები, გაწეული მომსახურებებით მიღებული ბიუჯეტში შესატანი თანხები).

შენიშვნა 2:

აქტივების უსასყიდლოდ მიღება-გაცემაში ასახულია იმავე დონის სახელმწიფო ერთეულისგან უსასყიდლოდ მიღებული და მასზე გადაცემული ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები და არაწარმოებული აქტივები.

შენიშვნა 3:

სხვა მოცულობით ცვლილებებში ასახულია სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული მოგება-ზარალი, ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი დანაკლისები და ზედმეტობები, ჩამოწერის შედეგად კაპიტალის ცვლილება, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების კორექტირება, ნაშთების ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანა, სხვა დანარჩენი მოცულობითი ცვლილებები.

შენიშვნა 4:

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებში ასახულია გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტში გადარიცხული თანხები.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულებს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით ვალდებულებების კლების მუხლით ასიგნება გამოყოფილი არ ჰქონდა. ასიგნებათა გადანაწილების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40,9 ათასი ლარი. გაწეულია 40,9 ათასი ლარის საკასო და ფაქტობრივი ხარჯი. მათ შორის სსიპ შსს აკადემიამ დაფარა 21,8 ათასი ლარის სახელფასო დავალიანება, ხოლო შსს ცენტრალურმა აპარატმა საქართველოს მთვრობის 2009 წლის 14 ივლისის N 507 განკარგულების საფუძველზე დაფარა 2008 წლის აგვისტოში შ.კ.ს „სოკარი“-ს მიერ საწვავის მოწოდებით წარმოშობილი 19,1 ათასი ლარის დავალიანება.

რაც შეეხება საბალანსო მუხლების მიხედვით ვალდებულებების (კრედიტორული დავალიანების) ნაშთებს და მათ ცვლილებას, აღნიშნული განხილულია აუდიტის აქტის პირველ (1.2.) საკითხში.

რეკომენდაცია:

- სამინისტროს მიერ დროულად იქნას გატარებულ შესაბამისი ქმედითი ზომები, რათა შპს „ევროპლანტ ჯორჯიასათვის“ ზედმეტად გადახდილი 30480 ლარი სრულად იქნას დაბრუნებული სახელმწიფო ბიუჯეტში.

ნაწილი IV.- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

ჯგუფის ხელმძღვანელი,
საქართველოს კონტროლის პალატის
უფროსი აუდიტორი
თემურ ჩილინდრიშვილი

უფროსი აუდიტორი
გია ნადარეიშვილი

 2.06.2010
 ხელმოწერა თარიღი
 2.06.2010
 ხელმოწერა თარიღი



აუდიტორი

ნესტან ჯანელიძე

ნელი გამარჯვე

02.06.2016.

ხელმოწერა თარიღი

აუდიტორი

თამარ ბეჟანიშვილი

2010 წლის 29 მარტიდან მივლინებულია სასწავლებლად
ქ. ვაშინგტონში (ბრძანება №34/42)

აუდიტორი

მაია მუჯირიშვილი

ნელი გამარჯვე

02.06.2016.

ხელმოწერა თარიღი

1

2

3

4

5

6